



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 74

ქ. გარდაბანი

27/05/2022

74-06-4-202205272123



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მიშიკო კალაიჯიშვილის, თორნიკე ლობჯანიძისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდემელის დაჯილდოების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის 24 მაისის №19-19221447 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მიშიკო კალაიჯიშვილის, თორნიკე ლობჯანიძისა და მწვრთნელის თორნიკე ხიდემელის დაჯილდოების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №61 განკარგულებაში და

ა) განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: მიშიკო კალაიჯიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, თორნიკე ლობჯანიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - თორნიკე ხიდემელის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 420 (ოთხას ოცი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან.“

ბ) განკარგულების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშწორებით, სპორტსმენებისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

მიშიკო კალაიჯიშვილი - 600 (ექვსასი) ლარი, 3/წ

თორნიკე ლობჯანიძე - 600 (ექვსასი) ლარი, 3/წ

თორნიკე ხიდემელი – 420 (ოთხას ოცი) ლარი, 3/წ

“

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

